ბატონო შალვა,

მე გახლავართ ზაალ წერეთელი, 63 წლის, მათემატიკოსი და მუსიკოსი, თბილისის ანჩისხატის ტაძრის მგალობელ-მომღერალთა გუნდის რეგენტი. მინდა მოგმართოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით: დამატებით რამდენიმე საეკლესიო დღესასწაულის სამოქალაქო უქმეებად გამოცხადების შესახებ.

დღესდღეობით, რამდენიმე მნიშვნელოვანი საეკლესიო დღესასწაული სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულია სამოქალაქო დასვენების დღეებად. ესენია: ქრისტეშობა (7 იანვარი), ნათლისღება (19 იანვარი), სააღდგომო დღეები, მიძინება (28 აგვისტო), ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე (12 მაისი), გიორგობა (23 ნოემბერი) და სვეტიცხოვლობა (14 ოქტომბერი). იმის გამო, რომ ყოველი კვირის შაბათი და კვირა-დღე ოფიციალურად ითვლება დასვენების დღეებად, ჩამოთვლილ დღესასწაულებს ავტომატურად ემატება ორი უდიდესი მოძრავი დღესასწაული: ბზობა და სულთმოფენობა. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ საქართველოს სახელმწიფო პატივს სცემს ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის - მართლმადიდებელი ქრისტიანების - რელიგიურ გრძნობებს. სამოქალაქო დასვენების დღეებში ყველა მორწმუნეს (დასაქმებულს თუ დაუსაქმებელს) შესაძლებლობა ეძლევა დაუბრკოლებლად მივიდეს ეკლესიაში, დაესწროს საზეიმო წირვას და მონაწილეობა მიიღოს ეკლესიის მიერ დადგენილ დღესასწაულში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული უდაოდ სასიკეთო გარემოებისა, ყურადღების მიღმაა დარჩენილი არაერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო დღესასწაული. შვიდი მათგანი განეკუთვნება თორმეტი საუფლო დღესასწაულის კატეგორიას, ხოლო ორი - მოციქულთა სწორის და დიდი წმინდანის ხსენების დღეა. მხედველობაში გვაქვს შემდეგი დღესასწაულები: ღვთისმშობლის შობა (21 სექტემბერი), ჯვართამაღლება (27 სექტემბერი), ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება (4 დეკემბერი), მირქმა (15 თებერვალი), ხარება (7 აპრილი), ამაღლება (აღდგომიდან მეორმოცე დღე, ყოველთვის ემთხვევა ხუთშაბათს), ფერისცვალება (19 აგვისტო), ნინოობა (27 იანვარი) და ნიკოლოზობა (19 დეკემბერი). ასეთ საზეიმო თარიღებში, თუ ისინი სამუშაო დღეს ემთხვევა, მოქალაქეები სამსახურის გამო ვერ ახერხებენ ეკლესიებში მისვლას და ღვთისმსახურებები უღიმღამოდ, თითქმის ცარიელ ტაძრებში აღესრულება.

ჩამოთვლილი ცხრა დღესასწაულის სამოქალაქო დასვენების დღედ გამოცხადების შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ პატივმიგებული იქნება უფლის ბრწყინვალე აღდგომა, 12 საუფლო დღესასწაული სრულად, სვეტიცხოვლობა და საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ოთხი წმინდანის - ანდრია პირველწოდებულის, წმ. ნინოს, წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის - ხსენების დღეები.

დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა ბევრი სიკეთის მომტანი იქნება როგორც რიგითი (ეკლესიური თუ არაეკლესიური) მოქალაქისთვის, ისე მმართველი პარტიისათვის. თუმცა მთავარი სიკეთე ეს იქნება: ამ ნაბიჯის გადადგმით სათნო ვეყოფით უზენაესს და მთელი ჩვენი ქვეყანა მოიღებს ღვთის მადლს, კურთხევასა და კეთილდღეობას. გთხოვთ მოახდინოთ ამ საკითხის ინიცირება შესაფერის დროსა და ვითარებაში.

ნება მომეცით დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა იმ ღვაწლისთვის, რასაც სწევთ საქართველოს სასიკეთოდ.

ზაალ წერეთელი 08.04.2025
ანჩისხატის გუნდის რეგენტი

პ/ნ: [redacted]
მისამართი: [redacted]
ტელ: [redacted]
ელ.ფოსტა: [redacted]

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-2977/25
10 - 04 2025 წ. ფურცლ. 2

წერილი მოქალაქისგან - ზაალ წერეთელი

Thu 4/10/2025 3:35 PM

To:Parliament of Georgia <contact@parliament.ge>;

1 attachments (224 KB)

საეკლესიო დღესასწაულების სამოქალაქო უქმეებად გამოცხადების შესახებ v1.pdf;

მოგესალმებით,

გთხოვთ წინამდებარე წერილი (იხ. მიბმული ფაილი) გადასცეთ ბატონ შალვა პაპუაშვილს.

პატივისცემით,
ზაალ წერეთელი

პ/ნ: [redacted]
მისამართი: [redacted]
ტელ: [redacted]